ფეხბურთი

გუშინ, 15 მაისს მოსკოვის “დინამოს” ცენტრალურ სტადიონზე შედგა მორიგი მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის 1950 წლის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალთა (“ვვს”) გუნდები. თბილისელები მოედანზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: მეკარე _ მარღანია; მცველები _ ელოშვილი, ძიაპშპა, სარჯველაძე; ნახევარმცველები _ ანთაძე, გარიშვილი; თავდამსხმელები _ ჯოჯუა, ვარდიმიადი, ბ. პაიჭაძე, ღოღობერიძე, თოდრია.

შეხვედრამ თავიდანვე საინტერესო ხასიათი მიიღო. მალე მოედანს დაეუფლნენ თბილისელები. “დინამოს” თავდასხმის ხუთეულმა სპორტის დამსახურებული ოსტატის ბორის პაიჭაძის უნარიანი ხელმძღვანელობით მრავალი კარგი კომბინაცია გაითამაშა. მე-8 წუთზე დინამოელმა ვარდიმიადიმ პირველი ბურთი გაიტანა მოსკოველთა კარში. მე-12 წუთზე მანვე კარგად გამოიყენა პაიჭაძის მიერ მიწოდებული ბურთი და მეორედ შეარხია “ვვს”-ის კარის ბადე. ამ მარცხის პასუხად მოსკოველებმა გააძლიერეს აქტივობა, მაგრამ ბრწყინვალედ მოთამაშე მეკარე მარღანიამ და თბილისელთა დაცვამ ყველა საფრთხე ოსტატურად მოიგერიეს. პირველი ტაიმის დასასრულამდე დინამოელმა ღოღობერიძემ კიდევ ერთი ბურთი გაიტანა მოსკოველთა კარში.

მეორე ტაიმში ტერიტორიული უპირატესობა კვლავ თბილისელთა მხარეზე იყო, მაგრამ დიდხანს ვერ შესძლეს ანგარიშის გადიდება. მატჩის დასასრულს ბორის პაიჭაძე გავიდა გარღვევაზე, ოსტატურად გაუსხლტა მოწინააღმდეგის სამ მცველს და კართან ახლოს ბურთი მიაწოდა ჯოჯუას. ამ უკანასკნელმა ბურთი შეუჩერებლივ გაგზავნა მოსკოველთა კარში.

მატჩი დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით ანგარიშით 4:0.

ამრიგად, თბილისის “დინამოს” 8 ჩატარებული შეხვედრის 16 შესაძლებლიდან მოგროვილი აქვს 11 ქულა.

“კომუნისტი”, 16 მაისი 1950 წ.